დიდი ანგარიშით

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 4 ოქტომბერი.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 0:3 (0:2).

“ლოკომოტივი”: პოლიაკოვი, ბასალაევი, პრუდნიკოვი, ხორლინი, დავიდოვი, ინოგამოვი, პეტროვი, კოზლოვი, სევოსტიანოვი (შელუდკო), გერშკოვიჩი, კოროტკოვი.

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, შერგელაშვილი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, მეტრეველი, ასათიანი, დათუნაშვილი.

მსაჯი ნ. კირსანოვი (კიევი).

თბილისის “დინამომ” მაყურებელს ლამაზი და შინაარსიანი ფეხბურთი აჩვენა. მატჩის პირველსავე წუთებიდან ინიციატივა ხელთ იგდეს ქართველმა ფეხბურთელებმა, რომლებიც ამჯერად შეცვლილი შემადგენლობით თამაშობდნენ. სტუმრების თავდამსხმელთა რამდენიმე სახიფათო გარღვევა დროზე უვნებელყო მეკარე პოლიაკოვმა.

მაგრამ “დინამოს” შეტევები იმდენად მწვავე და სახიფათო იყო, რომ არ შეიძლებოდა მათ გოლი არ მოჰყოლოდა. რკინიგზელებისთვის საბედისწერო გამოდგა თამაშის 34-ე წუთი. ილიადიმ მასპინძლების საჯარიმო მოედანზე ოსტატურად “დაკიდა” ბურთი და დათუნაშვილმა გახსნა ანგარიში – 1:0. ეს იყო თბილისელი ბომბარდირის მე-16 გოლი საკავშირო ჩემპიონატში.

“დინამოს” ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია არც ამ გოლის შემდეგ. 42-ე წუთზე ასათიანმა ძლიერი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა. მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს. ერთ-ერთი მათგანი თითქოს თბილისელთა კარის აღებით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მეკარე ურუშაძემ “მკვდარი” ბურთი აართვა გერშკოვიჩს. ეს მოხდა შეხვედრის მე-60 წუთზე. მატჩის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა ხუციშვილმა მესამე ბურთი გაიტანა.

“ლელო”, 5 ოქტომბერი, 1966 წ.